აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
უმაღლესი საარჩევნო კომისიის

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა № 11

14 სექტემბერი 2008 წელი ქ. ბათუმი

**ზოგიერთი საარჩევნო ღონისძიების
განსაზღვრის თაობაზე**

საქართველოს საარჩევნო კოდექსის 28^1 და 31^1 მუხლის 1^1 პუნქტის, „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის 30-ე მუხლის მე-2 პუნქტის და 80-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, უმაღლესი საარჩევნო კომისია **ადგენს:**

მუხლი 1. თუ უფლებამოსილმა პარტიამ (პარტიებმა) არ დანიშნეს უსკო-ს წევრი საქართველოს საარჩევნო კოდექსის 31^1 მუხლის 1^1 პუნქტით დადგენილ ვადაში, უსკო-ს წევრის დანიშვნის უფლება ენიჭება საქართველოს საარჩევნო კოდექსის 31^1 მუხლის 1^1 პუნქტით გათვალისწინებულ პარტიას. უფლებამოსილმა პარტიამ უსკო-ს წევრი უნდა დანიშნოს ასეთი უფლების წარმოშობიდან არაუგვიანეს მე-7 დღისა.

მუხლი 2 ეს დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის №30) მისი მიღებიდან 1 კალენდარული დღის ვადაში.

მუხლი 3 ეს დადგენილება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

კომისიის თავმჯდომარე ა. მიქელაძე

კომისიის მდივანი ქ. ჯიქი